

**ქართული ბერიკობა-ყვენობა და ბასკური
საბაგაფხულო დღესასწაულის – ფიესტის (FIESTA)
შედარებით-შეპირისპირებითი ეთნო-ლინგვისტური
ანალიზი შესაბამისი სავარაუდო
ლაზური მასალის ფონზე**

**COMPARATIVE AND CONTRASTIVE
ETHNIC-LINGUISTIC ANALYSIS OF GEORGIAN
BERIKAOBA-KEENOBA AND BASQUE SPRING HOLIDAY –
FIESTA AGAINST THE BACKGROUND
OF THE RELEVANT LAZ (KARTVELIAN) MATERIALS**

გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე
თბილისი. საქართველო

Greta Chantladze-Bakradze
Tbilisi. Georgia

ABSTRACT

In general, the same traditional ritual may be established on its own in different nations. The Pyrenean (Iberian) peninsula is located in Western Europe, while Georgia is at the crossroad of Europe and Asia.

The article examines and analyzes one of the long-standing spring celebrations, Berikaoba-Keenoba, embraced in Georgia from ancient times. It is compared to Fiesta, which is one of the celebrations of the Basques living on the Pyrenean peninsula.

The study is based on the fieldwork materials recorded and obtained by us in Gipuzkoa, one of the provinces of Spain and the territory of the Basque Country, and in the village Ude, in Samtskhe-Javakheti, one of the regions of Georgia.

In terms of its form and content, the Berikaoba-Keenoba of Samtskhe-Javakheti partly resembles the Fiesta which is widespread in Spain. Berikaoba-Keenoba is related to fertility and the awakening of nature. In the course of one week, the Berikas and the Khans impersonate historical figures in a grotesque manner, wearing masques made of sheep skin or goat skin. The folklore materials obtained from the Turkish respondent of Georgian origin verifies the availability of a ritual resembling Berikaoba-Keenoba.

Similar celebration is embraced in the Basque Country. A couple of days before the festival, shepherds leave their places, slaughter goats and sheep, rarely wolves, and skin them making sheepskin garments and masks, play drums and wind musical instruments, and sing. The bertsolaris, troubadours play a similar role in the Basque Country.

It is interesting that the archaeologist Marcelino de Sautuola discovered a cave in the territory of the Basque Country, Spain in 1879. The cave was dated back to the pre-historic period. Wolf and sheep masks are featured on the ceiling of the cave.

It can be assumed that Proto-Basque people and Proto-Georgians had the Berikaoba-Keenoba festival in the pre-migration period. It is possible that following the expansion from the Pyrenees to the Caucasus, the very festival has developed independently in the Northern Spain (Basque Country) and the Caucasus (Georgia) which was further facilitated by Christianity.

Certain elements of festive rituals identified in Georgian and Pyrenean (Basque) celebrations require in-depth ethnolinguistic study.

საკვანძო სიტყვები: ეთნოლინგვისტიკა, სანესჩვეულებო რიტუალები, ბასკური დღესასწაულები, ქართული დღესასწაულები.

Keywords: Ethnolinguistics, rituals, Basque holidays, Georgian holidays.

ეთნოკულტურათა ტიპოლოგიური თუ გენეტიკური ერთიანობის კვლევა ნიშნავს ამ ერთიანობის ძიებას ერთმანეთისაგან მთელი ეპოქებითა და ვრცელი ტერიტორიით დამორეზულ ერთნოსებს შორის. თითოეული მათგანი დიდი დროის მანძილზე თავის დამოუკიდებელ გზას გადის და ამიტომ ისინი ისე სცილდებიან ერთმანეთს, რომ საერთოს დაჭერა ძალიან ძნელდება. ამ სიძნელეს ისე ვერ გადალახავს მკვლევარი, თუ ამა თუ იმ ხალხების ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები არ იქნა განხილული ურთიერთშეპირისპირების გზით, თუ არ გაფართოვდა შესადარებელი ობიექტების სახელწოდებანი და გეოგრაფიული არეალები. მაშინ შესაძლებელი იქნება მსგავსება-განსხვავებათა დადგენა ან უარყოფა. ჩვენ ამ დებულების კვალდაკვალ გადავწყვიტეთ შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული ერთ-ერთი ყველაზე გამძლე საგაზაფხულო დღესასწაული – ბერიკაობა-ყვენობა პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ბასკთა ერთ-ერთი დღესასწაულის („Fiesta/festa”) ფონზე. როგორც ცნობილია, ერთი და იგივე სანესჩვეულებო რიტუალი შესაძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ხალხებში. გამონაკონები, ადამიანთა წარმოდგენები, ზოგჯერ წეს-ჩვეულებები და მათი სახელწოდებანიც კი ემთხვევა გეოგრაფიულად დამორეზულ არეალებში. პირინეის (ანუ იბერიის) ნახევარკუნძული ევროპის დასავლეთ ნაწილშია, ხოლო საქართველო ევროპა-აზიის გასაყარზეა. ჩვენ მიერ ესპანეთში სავლელ სამუშაოების ჩატარების პერიოდში მოვიძიეთ ისეთი მასალა, რომლის შედარება-შეპირისპირების ცდა სამცხე-ჯავახეთის სოფელ უდეში მოპოვებულ მასალასთან მოგვცემს გარკვეული მსჯელობის საშუალებას სამომავლოდ. ესპანეთში მოძიებული მასალიდან ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ესპანეთის ბასკეთის ერთ-ერთ პროვინციაში – გიპუსკოაში (Gipuzkoa) გავრცელებული სან-მიგელის დღესასწაულის ზოგიერთი ელემენტის წარმოდგენით.

80-იან წლებში დოც. მზია ზაქარიაძესთან ერთად მივლინებაში გახლდით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ჩვენ ხშირად გვინევდა წლის სხვადასხვა დროისათვის დამახასიათებელი დღესასწაულებისა და სანესჩვეულებო რიტუალების ჩანერა. სწორედ ამ დროს გვაქვს მოძიებული

პარუნაშვილებისა და პეტაშვილების გვარის წარმომადგენლებისაგან, მეტადრე 80 წელს გადაცილებული ინფორმატორებისაგან, ბერიკაობა-ყვენობის ამსახველი სიუჟეტები (ამ ნაშრომის შექმნისათვის ძალიან გამომადგა ეს მასალა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ ამ ორი გვარის ხალხს სოფ. უდემში!).

ბერიკაობა-ყვენობის შესახებ ქართულ და უცხოურ ენებზე არსებობს საკმაოდ ლიტერატურა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ვ. ბარდაველიძის, დ. ჯანელიძის, ს. მაკალათიას და სხვათა ნაშრომები. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ცნობილი ქართველი ეთნოლოგის ჯულიეტა რუხაძის შესანიშნავი წიგნი „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში“, სადაც ავტორი ქვესათაურში „წყაროები და ისტორიოგრაფია“ განიხილავს სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებას ბერიკაობა-ყვენობის შესახებ. ჯ. რუხაძეს მიაჩნია, რომ ბერიკაობა და ყვენობა არ არის ორი დღესასწაული: „ყვენობაში ბერიკაობისაგან განსხვავებული რაიმე ახლის დანახვა ძნელია. ყვენობა ბერიკაობის ერთ-ერთი ეპიზოდია და მის ბუნებრივ დასასრულს წარმოადგენს. ახალი შინაარსით შევსებულ ორშაბათ დღეს ხალხმა ყვენობა დაარქვა, თავისი მიზნებისათვის გამოიყენა და სხვადასხვა დროის ბრძოლის ამსახველ დღესასწაულად აქცია. ყვენობა იწყება გაზაფხულზე. დიდმარხვის პირველ ორშაბათს, მას „ყვენობის ორშაბათსაც“ უწოდებდნენ. რაც შეეხება ბერიკაობას, იგი იწყება თებერვალში ან მარტში მოძრავი დღესასწაულის - ყველიერის დროს და გრძელდება ერთ კვირას, მას „ყველიერის კვირას“ უწოდებენ“.

ბერიკაობა-ყვენობას სხვადასხვა სახელი ჰქვია საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეში. ზოგი მას ბერიკაობა-კვეკნობას უწოდებს, სხვანი კუმეტობასა და ა.შ. სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ სოფ. უდემში, ბერიკაობა-ყვენობა უკავშირდება ნაყოფიერებას, ბუნების გალვიძებას, „ხეში წყლის ჩადგომას“ და სხვა სასიცოცხლო მომენტებს. ერთი კვირის განმავლობაში ბერიკები და ყვენები აშარჟებენ, სარკაზმით ამკობენ ისტორიულ პერსონაჟებს. მათი სიუჟეტების პერსონაჟებში არცთუ იშვიათად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ვხვდებით. ძალიან საინტერესოა მესხურ-ჯავახური ნიღბები, რომლებიც ცხვრის ან თხის ტყავისგან არის დამზადებული.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, იქ, სადაც ისტორიულად იყვნენ განსახლებულნი ბასკები (და დღესაც იქ სახლობენ) 1879 წელს არქეოლოგმა მარსელინო დე საუტუოლამ თავის 9 წლის გოგონა მარიასთან ერთად აღმოაჩინა სამფეროვანი ნახატებიანი მღვიმე – ალტამირაში, რომელიც დაახლოებით განეკუთვნება ზედა ნეოლითის ეპოქას. მღვიმის ჭერი მოხატულია პირველყოფილი ადამიანების მიერ, იქ გამოხატულია გადაშენებული ცხოველების – ბიზონების, აგრეთვე მგლების, ცხენების, ცხვრებისა და ანთროპომორფების გამოსახულებანი. ჭერის დასავლეთ მხარეს გამოსახულია აგრეთვე მგლებისა და ცხვრების ნიღბები. ნახატები შესრულებულია როგორც ხელით, ასევე პირველყოფილი ადამიანის მიერ დამზადებული იარაღებით. ეს სამფეროვანი (წითელი, შავი, ყვითელი) ნახატებით

მოხატული მღვიმე, რომელიც ბასკეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, იუნესკოს მიერ გამოცხადდა მსოფლიოს საგანძურად (1985). ჩვენთვის ეს მღვიმე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მგლისა და ცხვრის ასეთ ნიღბებს მოგვიანებით საქართველოში იყენებდნენ ბერიკები და ბასკეთში მოხეტიალე ტრუბადურები – ბერცოლარები საგაზაფხულო დღესასწაულის დროს.





ალტამირას გამოქვაბულის ჭერის მხატვრობა: ბიზონები, მგელი, ცხვარი და მათი ნიღბები.

ერთი ჰიპოტეტიური მოსაზრებაც შეიძლება გამოითქვას პრაბასკურ-ქართველურ ეთნო-ლინგვისტურ ერთიერთმიმართებათა სიბრტყეზე. შესაძლებელია, რომელიღაც დიაქრონიულ ჭრილში პრაბასკებისა და პრაქართველების რიტუალებში შეიმჩნეოდა ბერიკაობა-ყეენობის რაღაც ელემენტები. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ალტამირას მღვიმის ჭერზე გამოსახული ცხოველები და მათი ნიღბები, მით უფრო თუ მხედველობაში მივიღებთ ესპანელი არქეოლოგის კარო ბაროხას ჰიპოთეზას – პირველყოფილი ადამიანის ბასკურ ენაზე ამეტყველების შესახებ. ამდენად, შესაძლებელია გამოითქვას ასეთი ჰიპოთეზა: ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაული ჰქონდათ პრაბასკებსა და პრაქართველებს ერთობის პერიოდში, ხოლო როცა მოხდა პირენეიდან მიგრაცია კავკასიისაკენ, შესაძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდა ეს დღესასწაული ჩრდილოეთ ესპანეთში (ბასკეთში) და კავკასიაში (საქართველოში), რასაც მოგვიანებით ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებამ. ეს გახლავთ ჩვენეული ვარაუდი.

ცნობილი ეთნოგრაფი რ. ბლეიხშეინერი თავის ნაშრომში „Masken und Gestnachsbranche bei den Volkern des Kaukasu Osterrieichshe Zeitschrift Volkskude, Vien №5,6,1952. Kongre Bheft)“ ქართული ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულს უდარებს ევროპის ქვეყნებში გავრცელებულ ხალხურ სანესჩვეულებო რიტუალებს, რომლებიც, ისევე როგორც საქართველოში, უკავშირდება ნაყოფიერების კულტს. იგი მიუთითებს აგრეთვე ანტიკური კულტურის გავლენაზე. რ. ბლეიხშეინერის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მაშინ მესხურ-ჯავახური ბერიკაობა-ყეენობა თავისი ფორმითა და შინაარსით ნაწილობრივ ნააგავს ესპანეთში გავრცელებულ „Fiesta“-ს. ბასკეთში, კერძოდ გიპუსკოას პროვინციაში, გავრცელებულ დღესასწაულს სან-მიგელის „Festa“-ს (იგი მომდინარეობს ესპანური „Fiesta“-სგან), რომელიც ბასკი ქალის გარასისა და მისი სატრფოს მიგელის სასიყვარულო ამბებზეა აგებული. ამ დღესასწაულის წინა დღეებში მწყემსები ჩამოდიან სადგომებიდან, მოჰყავთ თითო-თითო თხა და ცხვარი, იშვიათად მგელიც, კლავენ მათ, ატყავებენ, ცეცხლზე აშრობენ, იკერავენ მისგან ტყაპუჭს, თავსაბურავს – ნიღბს მგლის ან ცხვრის თავისაგან, ფეხზე ტყავის ქალამნებს (თასმებიანი

პაჭიჭები) იცვამენ, აიღებენ დოლოს, სალამურს, რომელზეც ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად უკრავს ერთი ხელით დოლზე, ხოლო მეორე ხელით სალამურზე. სიმღერის ტექსტები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ხასიათისაა, ზოგჯერ ძალიან უნმანურიც. ბერიკების როლს ბასკეთში ბერცოლარიები (ვულგარული მომღერლები, ტრუბადურები) ასრულებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი დადებითი პერსონაჟები არიან. ხალხს ისინი ძალიან უყვარს. მათ კი არ დევნიან, პირიქით, სახლში პატიუებენ, ასაჩუქრებენ, ეფერებიან. მათი ნიღბებიც არ არის ძალიან სარკასტული და ბავშვებისათვის საშიში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იშვიათ გამონაკლისს, როცა ბერცოლარიები მგლის ტყაპუჭსა და მისი თავისაგან გაკეთებული ნიღბით არიან შემოსილნი. რადგან მგლის მოკვლა ძალიან ძნელია, ამიტომ „მგელ-კაცა“ ბერცოლარიებს ნაკლებად შეხვდებით, მით უფრო გიპუსკოაში. ჩვენს 85 წლის ინფორმატორს ხუან ოჩოას თავად უნახავს „მგელ-კაცა“ ბერცოლარი. თავად მის გვარშიც ჩანს ძირი „ოჩო“, რაც ბასკურად „მგელს“ ნიშნავს, ბოლო ა (a) არტიკლია. იგი სან-მიგელის დღესასწაულს უკავშირებს თავისი გვარის წარმოშობას. ეს დღესასწაული წინარე ქრისტიანული ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ქრისტიანობაში წმინდა მიგელის დღესასწაულის სახით შევიდა. სან-მიგელის შესახებ ბევრი თქმულება არსებობს ბასკეთში, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოდის. ჩვენ აქვე გვინდა მოვიხმოთ პერსონაჟები ქართული ფოლკლორიდან: ოჩოკოჩი და ოჩოპინტრე, რომელთა პირველი კომპონენტი „ოჩო“ მეგრულად ნიშნავს „თხას“, ხოლო იმ ბერცოლარის, რომელიც თხის, ცხვრის თუ მგლის ტყაპუჭითა და მათი ნიღბებით არიან შემოსილნი - „ოჩო-გისას“, „ოჩო-გისონას“ (Otxo-giza, Otxo-gizona) უწოდებენ ბასკები, რაც ქართულად ნიშნავს „მგელკაცას“, „ვაცკაცას“, „ვამპირს“, „ფანტომს“, „მაქციას“. შესაძლებელია, ძველი ბასკის ცნობიერებაში „მგელი“ და „ვაცი“ (მეწინავე თხა), ორივე ერთი და იმავე მნიშვნელობით აღიქმებოდა. ამდენად, „ოჩოკოჩი“, „ოჩოპინტრე“ Otxo-giza, Otxo-gizona (ოჩოგისა და ოჩოგისონა) შესაძლებელია განვიხილოთ პრაბასკურ-ქართველურ სიბრტყეზე. რაც შეეხება ბასკ იმპროვიზატორს – ბერცოლარის (Bertsolari), ამ სიტყვას ბასკი ენათმეცნიერები ასე შლიან: Berts, რომელიც ბასკურად ნიშნავს „დოლოს“, o შემაერთებელი ინფიქსია, ხოლო lari პროფესიის აღმნიშვნელი სუფიქსია, ე.ი. „დოლზე დამკვრელი“. ხომ არ შეიძლება ამ სიტყვაში Ber კომპონენტის გამოყოფა, რომელმაც შესაძლებელია გაფიქრებინოს „ბერიკა“-სთან სიახლოვეზე. ბასკისთვის რთულია Bertsolari-ში Ber-ის გამოყოფა, რადგან Ber ბასკურად უკავშირდება არა „ბებერს“, „ძველს“, „ხნერს“, არამედ „ახალს“ (resp. ბასკურში არის რამდენიმე ლექსემა, რომელიც ნიშნავს აგრეთვე „ძველს“, „ბებერს“. მაგ. Berkal „ძველი ციხე“). მართალია, ზოგჯერ ეტიმოლოგია არ არის სანდო, მაგრამ ამის არშემჩნევა, რასაც ლინგვისტისა თუ ეთნოგრაფის თვალის ხედავს კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ არ იქნება სწორი...

რაც შეეხება ლაზეთში ბერიაკობა-ყენობის დღესასწაულის არსებობას, იგი დღეისათვის არ დასტურდება, მაგრამ აქვე მინდა მოვიხმო 115 წლის არკეხელი (თურქეთი) სახალხო მთქმელის, ახმედ

დიასამიძისაგან ჩანერილი ფოლკლორული მასალა, რომელიც მოიპოვა თურქეთიდან გერმანიაში ჩასულმა მუსლიმან ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელმა, წარმოშობით ახალციხელმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ბატონმა ვახტანგ სუდაძემ. მე მასთან ასპირანტურის პერიოდიდან მქონდა მიმოწერა. ჩემი თხოვნით მან ბატონი ახმედ დიასამიძისაგან მოიპოვა ძალიან საინტერესო მასალა. იგი 5 წლის ყოფილა, როცა მშობლებს წაუყვანიათ თურქეთში. ისეთი მასალა მოუწოდებია ბატონი ვახტანგ სუდაძისათვის, რომლის თვითმხილველიც თვითონ ყოფილა.



სურათზე: ვახტანგ სუდაძე და ახმედ დიასამიძე, 1977 წლის 15 ოქტომბერი, თურქეთი, ქ. არკეხის გარეუბანი.

აი, მისი ნაამბობიც: „ვიქნებოდი ასე 10-12 წლისა, როცა ჩემმა მშობლებმა წამიყვანეს სტუმრად საზღვრისპირა ლაზურ სოფელ ბადელაში, მიპატიჟებულნი ვახლდით სოფლის დღესასწაულზე. დილით ადრე ჩვენს კარზე დააკაკუნეს უცნაურად გამონწყობილმა ადამიანებმა, მათ შორის უფროსს ეცვა მგლის ტყაპუჭისაგან შეკერილი ტანისამოსი, ხოლო თავზე ეხურა მგლის თავის ფიტულისაგან გაკეთებული თავსაბურავი. მას ახლდა ორი ვაჟი, რომელთაც ეცვათ ცხვრის ტყაპუჭისაგან შეკერილი ტანსაცმელი, ფეხზე კი ქალამანი, ხელში ეკავათ ორი კალათა, ერთიდან იღებდნენ ტკბილეულსა და სხვადასხვა სახის ხილს და ჩვენ გვთავაზობდნენ, ხოლო მეორე კალათაში ათავსებდნენ ჩვენი მასპინძლებისაგან მოწოდებულ ტკბილეულს. ისინი სახლში არ შემოდოდნენ, იქვე, ეზოში, ცეკვა-თამაშითა და ლაზლანდარობით გვართობდნენ. ესენი ყოფილან სოფელ ბადელაში მცხოვრები ლაზები,

რომლებიც სპეციალურად გამოენწყვნენ მგლისა და ცხვრის სამოსში, რათა ჩვენი მასპინძლის სტუმრებისათვის პატივი ეცათ. ეს რიტუალი მე ძალიან ბუნდოვნად მახსოვს. როცა წამოვიზარდე, თვითონ დავინწყე ამ რიტუალის პერსონაჟების მოძიება თურქეთში – ჩვენებურებში. რაღაც ელემენტებს ბერიკაობა-ყეენობისა თითქოს ვხედავდი ლაზების ცეკვა-თამაშში, მაგრამ მას ბერიკაობა-ყეენობის კვალიფიკაციას ვერ მივცემდი“. ბატონმა ვახტანგ სულაძემ ეს მასალა გადმომცა ტელეფონოგრაფიით გერმანიიდან (სამწუხაროდ, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოსული ინტერნეტი მიმოქცევაში). ახმედ დიასამიძის მონათხრობის კვალდაკვალ დავინწყე სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზეთში ბერიკაობა-ყეენობის მსგავსი დღესასწაულის ამსახველი მომენტების მოძიება. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ვერაფერი ვერ ვნახე. ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, პროფესორმა მანანა ბუკიამ მომანოდა საინტერესო მასალა, სადაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ლექსებში ობურ/ობერ, რაც ნიშნავს „ავსულს“, „მაქციას“, „ფანტომს“ ლაზურად (შდრ. მეგრულის ოჩო-პინტრე, ოჩო-კოჩი და ბასკური Otxo-giza-ოჩოგისა „მგელკაცა“, „ავი სული“, „მაქცია“, „ფანტომი“).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ Ber ბასკურში ნიშნავს არა „ძველს“, არამედ „ახალს“. მ. ბუკიას მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით ლაზურშიც ნიშნავს „ახალს“, მაგ., ბერ-ალა, ბერ-ოლა არის „ბავშვობა“, ხოლო ბერ ნიშნავს „ბავშვს“. მართალია, ბასკისათვის Bertsolari-ში Ber-ის ცალკე გამოყოფა არ ხდება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი დაკავშირება ბერ-იკასთან შესაძლებელია, ბერცოლარიც ხომ „ბებერ ტრუბადურს“ ნიშნავს. ამისი არშემჩნევა არ ეგების, თუმცა ბასკებისათვის ბერცოლარი ნიშნავს „დოღზე დამკვრელსა და მომღერალ“ ტრუბადურს და არა „ბებერ ტრუბადურს“.

ამგვარად, ქართველურსა და პირენეულ დღესასწაულებში დანახული სანესჩვეულებო რიტუალების ზოგიერთი საერთო ელემენტი ღრმა ეთნოლინგვისტურ შესწავლას მოითხოვს, თუნდაც ტიპოლოგიური თვალსაზრისით კვლევა გრძელდება.

დამონებული ლიტერატურა

გაბუნია 1995: გაბუნია ს., ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები. თბილისი, 1995.

რუხაძე 1980: რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში. თბილისი, 1980.

Bleikhshtainer 1952: Bleikhshtainer R., Masken und Gestnachsbranche bei den Volkern das Kaukasu Osterrieichshe Zeitschrit Volkskude.Vien #5, 6, 1952. Kongre Bhest.